# ძირითადი განსხვავებები პოლიტიკურ მენეჯმენტსა და ბიზნეს მენეჯმენტს შორის

***ვაჟა გურგენიძე***
*პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,*
*სტუ-ს პროფესორი*

**რეზიუმე**

წინამდებარე სტატია ეძღვნება ისეთ საკითხს, როგორიცაა განსხვავებები პოლიტიკურ მენეჯმენტსა და ბიზნეს მენეჯმენტს შორის. პუბლიკაციაში იხილება სამი ძირითადი განსხვავება მათ შორის.

პირველი განსხვავება უკავშირდება პოლიტიკური მენეჯმენტისა და ბიზნესის მართვის მიზნებს, მიზნებისადმი სხვადასხვა მიდგომას მართვის პროცესებში. მეორე განსხვავება დაკავშირებულია მართვის პროცესებში გადაწყვეტილების მიღებასთან, ხოლო, მესამე განსხვავება პოლიტიკურ მენეჯმენტსა და ბიზნეს მენეჯმენტს შორის მართვის პროცესების ღიაობა, ანუ გამჭირვალობა.

## ОСНОВНЫЕ РАЗЛИЧИЯ МЕЖДУ ПОЛИТИЧЕСКИМ МЕНЕДЖМЕНТОМ И УПРАВЛЕНИЕМ БИЗНЕСОМ

**Важа Гургенидзе**
Доктор политических наук, профессор
Технического университета Грузии.

**РЕЗЮМЕ**

Данная статья посвящена основным различиям между политическим менеджментом и бизнес-менеджментом. В публикации показаны три основных различия между ними.

Первое различие связано с целями и задачами политического менеджмента и бизнес-менеджмента. Второе основное различие состоит в характере личности и принятии решений в процессе управления. Третье различие связано с открытостью и прозрачностью процесса управления, политического управления в данных сферах человеческой деятельности.

## KEY DIFFERENCES BETWEEN POLITICAL MANAGEMENT AND BUSINESS MANAGEMENT

**Vazha Gurgenidze**
Doctor of Political Sciences, Professor of GTU.

**SUMMARY**

This article explores the differences between political management and business management, emphasizing three primary differences between them.

The first difference is related to the goals of political management and business management, showcasing their different approaches to goal-setting within management processes. The second difference is related to decision-making in management processes. Finally, the third difference between political management and business management is the level of transparency in their respective management processes.

## განსხვავებები პოლიტიკურ მენეჯმენტსა სა ბიზნეს მენეჯმენტს შორის

იმისთვის, რომ გაეცეს ობიექტური პასუხი შეკითხვაზე, არის თუ არა მსგავსება საჯარო მმართველობასა და ბიზნესის მართვას შორის საჭიროა გავარკვიოთ, ეხება თუ არა ყოველივე ეს - მენეჯმენტს? უყოყმანოდ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ორივე შემთხვევაში საქმე ეხება მენეჯმენტს. სწორედ ამიტომ საჯარო-პოლიტიკური მენეჯმენტი ხშირად ბიზნეს მენეჯმენტში აქვთ არეული. ცხადია, რომ გარკვეული მსგავსება მათ შორის არსებობს, იმიტომ, რომ ორივე შემთხვევაში სახეზეა მენეჯმენტის ზოგადი პრინციპების არსებობა. ჩვენი აზრით მსგავსება ამით მთავრდება. ამ პრობლემის მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ბიზნესის მართვასა და საჯარო-პოლიტიკურ მართვას შორის მთავარი განსხვავება იმაშია, რომ საჯარო-პოლიტიკური მმართველობა აწარმოებს მომსახურებას, არეგულირებს საქმიანობას ზოგადად საზოგადოების საკეთილდღეოდ, კერძოდ ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერესებისთვის, ხოლო ბიზნეს მენეჯმენტი მიმართულია მხოლოდ მოგების მიღებაზე.

ამ ლოგიკის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ სამი განსხვავება ბიზნეს მენეჯმენტსა და პოლიტიკურ მენეჯმენტს შორის:

- **პირველი განსხვავება უკავშირდება პოლიტიკური მენეჯმენტისა და ბიზნესის, მიზნებისადმი სხვადასხვა მიდგომას მართვის პროცესში.**

ბიზნესის მართვის დროს, მისი ფუნქციონირების ძირითადი საზომია სუფთა მოგება. “ცალკეული მენეჯერების მიერ შესრულებული სამუშაო ხშირად შეიძლება კომპანიის საერთო მოგებაში მათი განყოფილების მიერ შეტანილი წილით შეფასდეს” (იხ.: იქვე, გვ. 23). საჯარო-პოლიტიკური მმართველობისას კი მოგება ან ზარალი არ მიიჩნევა წარმატების ან წარუმატებლობის კრიტერიუმად. მეორე შემთხვევაში მთავარი მიზანი და მოთხოვნილება

მომსახურების შესრულებაა, რომელსაც არ გააჩნია მერკანტილური დატვირთვა. მაგალითად: საზოგადოების ტრანსპორტის ფუნქციონირების გაუმჯობესება, ხარისხის ამაღლება. ამ სფეროში დაბანდებული ხარისხები პრაქტიკულად არ ანაზღაურდება, მოგებაზე რომ არაფერი ვთქვათ. თბილისის მეტროპოლიტენი, როგორც ცნობილია წლების განმავლობაში ვერ ინაზღაურებს გაწეულ ხარჯებს სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგრამ სანაცვლოდ იგი ასრულებს მეტად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფუნქციას, რომლის შეწყვეტის შემთხვევაში მოსახლეობის გადაადგილებას შეუქმნის მრავალ სირთულეს. ასევე ეს ეხება სხვა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტს. ამ შემთხვევაში მართვის ძირითადი მიზანია არა მატერიალური მოგება მიუხედავად გაწეული ხარჯებისა, არამედ საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა. კერძო ბიზნესის მართვის შემთხვევაში დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება იკვეთება. კერძო ბიზნესი ვერ შეეგუება საქმიანობას იმ სფეროში, სადაც შეიძლება ფინანსები დაკარგოს, ხოლო საჯარო და არაკომერციული სტრუქტურებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მათი მმართველებიც ყურადღებას აქცევენ იმას თუ როგორ იხარჯება სახსრები, მოსახლეობის მოთხოვნები და ინტერესები უფრო ანგარიშგასაწევია, ვიდრე ფინანსური ოპერაციის შედეგი.

- **მეორე განსხვავება დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან.**

საზოგადოების დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებისას საჯარო-პოლიტიკური მმართველობის პროცესში გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება კოლექტიური საწყისის საფუძველზე, ხოლო ბიზნესის მართვის პროცესში როგორც წესი გადაწყვეტილებას სწრაფად იღებს ერთი ადამიანი ან მცირერიცხოვანი ჯგუფი. საჯარო, არაკომერციულ სტრუქტურებში ამ პროცესში საჭიროა მიიღოს მონაწილეობა მრავალმა ჯგუფმა და ინდივიდმა, რაც შეეფერება პლურალისტურ, სამართლებრივ და სამოქალაქო საზოგადოებას. მაგალითად: თუ საქართველოს პარლამენტს დაგეგმილი აქვს კანონის მიღება რომელიმე სფეროში, როგორც კი ეს ცნობილი გახდება, მაშინვე ამ პროცესში ჩაერთვება ინტერესთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც შესაბამის როლს ითამაშებენ გადაწყვეტილების მიღებაში - პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი, ამ კომიტეტის წევრები, პროფკავშირები, არასამთავრებო ორგანიზაციები, პარლამენტის ოპოზიცია, ადმინისტრაციული და საბიუჯეტო კომიტეტები, მასმედია. მიუხედავად იმისა რომ პლურალისტური გადაწყვეტილების მიღების პროცედურა ძალიან ართულებს საჯარო-პოლიტიკური მართვის პროცესს, პრაქტიკამ ცხადყო მისი სარგებლიანობის არსი და ხასიათი. ამას განაპირობებს ინტერესთა მრავალფეროვნება, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე და ეს არის დემოკრატიული საჯარო-მმართველობის ძირითადი არსი და თვისება.

- **მესამე თვისება პოლიტიკურ მენეჯმენტსა და ბიზნეს მენეჯმენტს შორის პროცესების ღიაობა ანუ გამჭირვალობა.**

საჯარო-პოლიტიკური მმართველობა გაცილებით გამჭირვალეა, ხილვადია, ვიდრე ბიზნესის მართვის დროს და შეესაბამება მმართველობის დემოკრატიულ სტილს, ხასიათდება კოლეგიალობით და გადაწყვეტილების მომზადებაში პერსონალის აქტიური მონაწილეობით, ხშირი თათბირებით და პერსონალის აზრით, პოზიციის გათვალისწინებით, შესრულებულ სამუშაოთა გამჭირვალობით და მონაწილეთა სრული ინფორმაციით. ამავე დროს საჯარო-პოლიტიკური მმართველობის დემოკრატიული სტილი ხასიათდება უფლებამოსილებათა ფართო დელეგირებით, ზომიერი კონტროლით შემსრულებელთა საქმიანობაზე. საჯარო-პოლიტიკური მმართველობის დემოკრატიული სტილი ასევე ხასიათდება ურთიერთობისას მშვიდი კილოთი, კეთილგანწყობილი ქმედებით, გახსნილობით, მოთმინებით. დემოკრატიული სტილი მაქსიმალურად უწყობს ხელს მართვაში მაღალი შედეგების მიღწევას.

გარდა ამისა საჯარო-პოლიტიკურ მმართველობის პროცესს, სახელმწიფო სამსახურის მართვის სტრუქტურებს მუდმივად უწევს მონიტორინგს მედია და საზოგადოება.

დიამეტრალურად სხვადასხვა ვითარებაა ბიზნესის მართვის პროცესში. ხშირ შემთხვევაში ხელმძღვანელი იღებს სწრაფ გადაწყვეტილებას სხვებთან შეუთანხმებლად წარმატებული ბიზნესის ინტერესების მიხედვით. პრაქტიკიდან გამომდინარე ბიზნესის მართვისთვის დამახასიათებელია ხელმძღვანელობის ავტორიტარული სტილი. ხოლო ავტორიტარული სტილი გამოირჩევა მმართველობითი გადაწყვეტილების ერთპიროვნული მიღებით, ხისტი და მკაცრი კონტროლით, რეპრესიული მეთოდების უპირატესობით. სხვა მეთოდებთან შედარებით, ხელქვეითების მინიმალური ინფორმირებით არსებული საქმიანობის შესახებ.

ბიზნესის მართვაში მენეჯერი ყველა პრობლემას თავისი შეხედულების მიხედვით წყვეტს. მოცემული სტილის ადმინისტრატორი (ხელმძღვანელი, ბიზნესმენი) ხასიათდება მბრძანებლური ტონით, უხეში მიმართვებით, კრიტიკული შენიშვნების უარყოფით. ბიზნესის მართვის პროცესში მენეჯერი ორიენტირებულია მოგებაზე, ძირითადი ამოცანის შესრულებაზე და ის ნაკლებად ინტერესდება ხელქვეითთა შორის ურთიერთობით, შრომის და სოციალური პირობებით.

ამგვარად პოლიტიკური მენეჯმენტი საზო-

გადოებრივ ინტერესებს ემსახურება. საჯარო ან არაკომერციული სფეროს მენეჯერის საქმიანობის **"საჯაროობა"** განასხვავებს საჯარო-პოლიტიკურ მმართველობას სხვა მსგავსი საქმიანობისგან. "ადმინისტრატორის როლის შესახებ ან შეხედულების მიხედვით, საჯარო ან არაკომერციული ორგანიზაციის მენეჯერმა უნდა იზრუნოს როგორც მენეჯერული საქმიანობის ეფექტიანობაზე, ისე საზოგადოების სურვილებსა და მოთხოვნაზე. ის საკუთარ თავზე გამოცდის ეფექტიანობასა და რეაგირების უნარს შორის არსებულ გარდაუვალ დაპირისპირებას, რომელიც ახლავს სამთავრობო და არასამთავრებო ორგანიზაციებში მუშაობას და რომელიც მის საქმიანობაში ცენტრალურ ადგილს დაიკავებს" (იხ.: დენჰარტი რ. დენჰარტი ჯ. საკარო მართვა. თბ. 2012 გვ. 27).

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას ბიზნეს მენეჯმენტის მკვლევარების მ. ხარხელისა და გიული ქეშელაშვილს, რომლებიც მართებულად აღნიშნავენ და აფასებენ მენეჯმენტს ბიზნეს სფეროში -"რადგან ჩვენ ვსწავლობთ მენეჯმენტს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვსწავლობთ ბიზნესის მართვას და მართვის მთელი ის მექანიზმი (კანონები, კანონზომიერებები, ფუნქციები, მეთოდები, მმართველობითი აპარატი, პროცესები და ა.შ.) და ეს შეეხება მხოლოდ ბიზნესს, განურჩევლად მისი განხორციელების ადგილსა და დროისა" (იხ.: მ. ხარხელი, გ. ქეშელაშვილი მენეჯმენტის საფუძვლები. თბ. 2013 გვ. 26). სრულიად გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში ავტორები იხილავენ ბიზნეს მენეჯმენტის სპეციფიკას და მათი შესწავლის ობიექტს არ წარმოადგენს მენეჯმენტის მეორე არანაკლები სპეციფიკით დატვირთული პოლიტიკური მენეჯმენტი. აღნიშნული სპეციფიკური მიდგომა ემყარება ასევე სპეციფიკურ საქართველოს კანონს "მეწარმეთა შესახებ", რომელიც არეგულირებს ბიზნეს მენეჯმენტის საქმიანობას. რადგან ბიზნესი წარმოადგენს ამ საწარმოებში მიმდინარე საქმიანობის პროცესს, მენეჯმენტი სწორედ მის მართვას გულისხმობს, მაგრამ არა გარედან მართვას (მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოებრივი მართვა (საჯარო მართვა), რომელიც საბაზრო პირობებში მინიმუმამდეა დასული და უფრო რეგულირების სახეს ატარებს), არამედ საწარმოთა შიგნით წარმოშობილი მმართველობით ურთიერთობებს, შიდა საფირმო მართვას (იხ.: იქვე).

ამგვარად საწარმოში მიმდინარე მართვის პროცესი არის ეკონომიკური მენეჯმენტის პროცესი, რომელსაც ახორციელებს საწარმოს მმართველი გუნდი - მენეჯერები მართვის სხვადასხვა მეთოდების (ადმინისტრაციული, ეკონომიკური, საწარმოს და ა.შ.) და სხვადასხვა ფუნქციების (დაგეგმვა, ორგანიზაცია, კონტროლი და ა.შ) გამოყენებით. სწორეს ეს მახასიათებლები აღნიშნავენ ეკონომიკურ და არა პოლიტიკური მენეჯმენტის სპეციფიკას, მაგრამ ორივე შემთხვევაში გამოკვეთილად ჩანს მათი შესრულების აუცილებლობა, ვინაიდან აღნიშნული ელემენტების გარეშე ვერ განვითარდება ნებისმიერი საზოგადოება პროგრესული დემოკრატიული ევოლუციის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, ბიზნეს მენეჯმენტის გარდა მართებულად მიგვაჩნია გამოვყოთ საწარმოო მენეჯმენტი, რომელიც ხორციელდება გარკვეული მექანიზმით და მოიცავს საწარმოოს, ტექნიკურ და ზოგადად სუფთა ეკონომიკურ სფეროებს. აღნიშნულ სფეროებში საწარმოო მენეჯმენტი ეფუძნება კომერციული მართვის პრინციპებს, მეთოდებს, ფუნქციებს, მმართველობით აპარატს.

## DIFFERENCES BETWEEN POLITICAL MANAGEMENT AND BUSINESS MANAGEMENT

To objectively address the question of whether a distinction exists between political management and business management, it is imperative to examine their relationship to the broader field of management. While both fields involve management principles, they are often conflated due to this shared aspect. However, it is crucial to note that while there are similarities between them, such as the presence of general management principles, the disparities between public-political management and business management are significant. Unlike business management, which primarily focuses on profit-making, public-political management encompasses the provision of services, regulation of activities for societal benefit, and addressing individual and group interests.

Following this logic, we can distinguish three differences between business management and political management.

- **The primary difference lies in how political management and business management view goals in their management processes.**

In the field of business, the main measure of performance is net profit. "The work done by individual managers can often be measured by their division's contribution to the company's total profits" (see: p. 23). Conversely, public-political governance does not use profit or loss as success indicators. Meaning that the focus is on providing essential services without a profit motive. For instance, enhancing public transport functionality or improving service quality. Investments in this sector are largely unrewarding, let alone profitable. Take the case of the Tbilisi Metropolitan Municipality, which struggles to offset expenses but plays a vital role in facilitating public mobility; halting its services would pose significant challenges for the community. Similarly, the objective of management isn't solely profit-driven but

rather geared towards societal benefit. While private businesses steer clear of ventures with potential financial losses, public and non-profit organizations prioritize meeting community needs over financial outcomes.

- **The second difference is related to decision-making.**

Within a functioning democratic political system of society, decision-making in public-political governance begins with a collective approach. In contrast, business management typically involves swift decision-making by an individual or a small group. In public, non-profit structures, this process requires the participation of many groups and individuals, which is appropriate for a pluralistic, legal, and civil society. For example: if the Parliament of Georgia is planning to adopt a law in a specific area, numerous interest groups will be involved in this process, which will play a relevant role in decision-making. This groups may include the relevant committee of the parliament, members of the committee, trade unions, non-governmental organizations, parliamentary opposition, administrative and budget committees, and the mass media. Although the pluralistic decision-making procedure complicates the process of public-political management, practice has revealed the essence and character of its usefulness. This is due to the diversity of interests that influence politics, and this is the main essence and feature of democratic public administration.

- **The third distinction lies in the transparency of processes between political management and business management.**

Public-political management aligns with the democratic style of management and is notably more visible, and complex compared to business management. Political management's approach emphasizes collegiality and active staff participation in decision-making, frequent deliberations, consideration of staff opinions, acknowledgment of varying positions, the challenges of the work undertaken, and ensuring all participants have access to comprehensive information. Additionally, the democratic style of public-political governance is characterized by extensive delegation of powers and moderate oversight of executor activities. It is further distinguished by a tranquil demeanour, benevolent actions, openness, and patience. The democratic approach facilitates optimal management outcomes to a significant extent.

Moreover, within the public-political governance process, state service management structures undergo continuous monitoring by both the media and society.

However, there are drastic differences in the process of business management. It often involves situations where leaders make rapid decisions without consulting others, prioritizing the interests of the successful business. Based on practical experience, authoritarian leadership styles are commonly observed in business management. The authoritarian style is distinguished by unilateral decision-making, rigid and stringent control, and the prevalence of coercive methods. This approach contrasts with others, often involving minimal communication and information sharing with subordinates regarding ongoing activities.

In business management, the manager typically addresses all problems according to their own perspective. A leader of this style is often identified by their authoritative demeanour, blunt communication, and dismissal of critical feedback. Within the realm of business management, the focus is primarily on profitability and achieving core objectives, with less emphasis on fostering relationships among subordinates or considering labour and social conditions.

Therefore, political management prioritizes public interests. The **"transparency"** inherent in the manager's activities within the public or non-profit sector distinguishes public-political management from other similar endeavours. "According to the role or view of the administrator, the manager of a public or non-profit organization must take care of both the effectiveness of managerial activities and the wishes and demands of society. He experiences for himself the inevitable conflict between efficiency and responsiveness, which accompanies work in governmental and non-governmental organizations, and which will occupy a central place in his work" (see: Denhart R. Denhart J. Close control. Tb. 2012 p. 27).

We agree with the assessment of business management researchers M. Xarxeli and Giuli Qeshelashvili, who astutely observe and evaluate management within the business domain: "Since our focus is on management, it inherently encompasses business management and the entire spectrum of management mechanisms, including laws, principles, functions, methods, organizational structures, processes, and more. This applies only to business, regardless of the place and time of its implementation" (see: M. Kharkheli, G. Qeshelashvili. Fundamentals of management. Tb. 2013 p. 26). It is quite clear that in this case the authors are discussing the specifics of business management, and the object of their study is not political management. The specific approach mentioned above is also grounded in the Georgian law "About Entrepreneurs", which governs business management activities. Since business involves the continuous operation of an enterprise, management entails overseeing it internally rather than externally. This encompasses not only external regulations (which are minimized in market conditions and often take the form of regulation) but also governance relations arising within enterprises, known as intra-firm management [see: ibid].

Thus, the current management process within the enterprise involves economic management, overseen by the management team, which utilizes various management methods (administrative, economic, enterprise, etc.) and performs diverse functions (such as planning, organization, control, etc.). These characteristics highlight the distinctive features of economic rather than political management. However, in both scenarios, the necessity of their implementation is evident, as without these elements, any society cannot progress in terms of democratic evolution. Hence, alongside business management, we find it appropriate to distinguish production management, which operates through a specific mechanism encompassing production, technical, and overall economic realms. Management in these areas is founded on commercial management principles, methods, functions, and organizational structures.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. გურგენიძე ვ. პ. საჯარო-პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა. თბ., 2014 წ.
2. გურგენიძე ვ. პ. პოლიტიკური სისტემა. თბ., 2017 წ.
3. ეჯიბაძე ო. მართვა. თბ. 2010 წ.
4. ბობ ნელსონი, პიტერ ექონომი. მართვა მარტივად. თბ. 2020 წ.


## REFERENCES:


1. Gurgenidze V. P. Theory and practice of public-political governance. Tb., 2014
2. Gurgenidze V. P. Political system. Tb., 2017
3. Ejibadze O. Management. Tb. 2010
4. Bob Nelson, Peter Economy. The Management Bible. Tb. 2020